



ბრძანება:ბ14.14220538

თარიღი:22/02/2022

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს წევრთა შერჩევის მიზნით, კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 თებერვლის №14.14220455 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს წევრთა შერჩევის მიზნით, კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 თებერვლის №14.14220455 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს წევრთა შერჩევის მიზნით, კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების (დანართი 1):

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 14-29 წლის ახალგაზრდას (შემდგომში კონკურსანტი), რომელიც არ არის დასაქმებული საჯარო სამსახურში და აკმაყოფილებს აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ პირობებს.“

ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. განცხადების მიღებისა და განხილვის ვადები

1. განცხადებების მიღება იწარმოებს 2022 წლის 21 თებერვლიდან - 7 მარტის ჩათვლით.

2. შემოსული განცხადებები კომისიის მიერ განიხილება 2022 წლის 20 მარტამდე.“

2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

